

„გამტკიცებ“

საქართველოს ეროვნული
ტელეკომუნიკაციების
რეგულატორის ეროვნული
სამსახური



24 იანვარი 2020 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკეებში
(ვაჟები)

2020 წელი
7-9 თებერვალი
ზესტაფონი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ჭაბუკთა (ვაჟები) ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან ერთად.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ის ძიუდოისტები, რომელთაც მოიპოვეს საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე ასპარეზობის ლიცენზია, ასევე ის სპორტსმენები, ვინც 2019 წლის 30 ნოემბერი-1 დეკემბერს გამართულ სარეიტინგო ჩემპიონატში დაიკავეს საპრიზო ადგილები.

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს.
- შეჯიბრი ჩატარდება 2020 წლის 8 თებერვალი - 9 თებერვალი, ქ. ზესტაფონი, მ. სალაძის სახელობის სპორტის სასახლეში.
- ჩამოსვლის დღე ქ. ზესტაფონი – 7 თებერვალი, წასვლის დღე – 10 თებერვალი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10.00 საათი.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
50კგ; 55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; +90კგ;
8 თებერვალი – 50კგ; 55კგ; 60კგ; 66კგ;
9 თებერვალი – 73კგ; 81კგ; 90კგ; +90კგ;

VI. აწონვა

აწონვა ვაჟებში: ქ. ზესტაფონი

7 თებერვალი ზესტაფონი, მ. სალაძის სახელობის სპორტის სასახლე

50კგ; 55კგ; 60კგ; 66კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

8 თებერვალი ზესტაფონი, მ. სალაძის სახელობის სპორტის სასახლე

73კგ; 81კგ; 90კგ; +90კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მომავლინებული ორგანიზაციები.

- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (მსაჯთა და ორგანიზატორთა ტრანსპორტირება, დარბაზის მომსახურება (ტატამის გაწეობა), საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი, მსაჯთა და ორგანიზატორთა სასტუმრო და კვება, დაცვის მომსახურება, ორგანიზატორთა და მონაწილეთა გამასპინძლება, მედპერსონალის ხელფასი და სხვადასხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: 2 51 64 66;

საკონტაქტო პირი – 577 99 44 07 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი – 599 92 56 62 ზაზა მახათაძე

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიბანოს ქონა.

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი